გავეცანი მომჩივანი მხარის საჩივარს, რომელიც პირველი და მე-7 პრინციპის დარღვევას მედავება.

მედავებიან, რომ გავავრცელე სიძულვილის ენა, გავაღვივე ანტითურქული განწყობები, მუსლიმ და ქრისტიან თემებს შორის დაპირისპირების პროვოცირებას შევუწყვე ხელი და გადმოვეცი არასზუსტი ინფორმაცია.

ბუნებრივია არ ვეთანხმები მოსარჩელის პრეტენზიებს და ჩემს არგუმენტაციას წარმოგიდგენთ.

გადაცემა „ერთი დღე სოფელში“ 10 წელია გადის ეთერში და მთელი ამ ხნის განმავლობაში პოპულარიზაციას უწევს სოფელში მცხოვრები თემის ტრადიციებს, რელიგიას, კულტურას და ა.შ. თითქმის ყველა სოფელში, მეჩეთებისა და ეკლესიების გადაღებაც გვიწევს, რადგან რელიგია კულტურისა და ისტორიის შემადგენელი ნაწილია.

ჩემს გადაცემაში 20-მდე მეჩეთი გადაგვიღია და საინტერესო ისტორიებიც ჩაგვიწერია. აღსანიშნავია, რომ ვყვებით ისტორიულ და კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე მეჩეთებზე. ჩვენი აუდიტორიის დიდი ნაწილი სხვადასხვა რელიგიის, კულტურისა და აღმსარებლობის ადამიანია და დიდ პატივს ვცემთ ჩვენს ამ მონაპოვარს.

ამ გადაცემის ფორმატში, ჩვენ რესპონდენტებს ვაძლევთ საშუალებას მოჰყვნენ ისტორიები, რომლებიც მათ წინაპრებისგან აქვთ შემორჩენილი და ჩვენ მკაფიოდ ვემიჯნებით ამ ისტორიებს, რადგან ლეგენდების და გადმოცემების დაზუსტება შეუძლებელია.

ამ შემთხვევაშიც, გადაცემის ამ მონაკვეთში, ჩვენ აუდიტორიას, მაყურებლებს ვუთხარით, რომ ჩვენი თანამგზავრი გვიყვება ისტორიას, რომელიც სოფელშია შემორჩენილი წინაპრების მონათხრობიდან. თავად რესპონდენტი მუსლიმი თემის წევრია და ამ სოფლის სკოლის პედაგოგია, ბავშვებს ისტორიას ასწავლის.

მეჩეთის ისტორიის გადმოცემის დროს, ჩვენი რესპონდენტი ეყრდნობა სოფელში შემორჩენილ, თაობიდან თაობაზე გადმოსულ ზეპირ ამბებს, რასაც აჭარაში და საერთოდ სამხრეთ საქართველოში თითქმის ყველგან შეხვდებით. მსგავსი შინაარსის უამრავი ისტორია აქვთ ჩაწერილი მოსახლეობისაგან თავის დროზე ზაქარია ჭიჭინაძეს, თედო სახოკიას, დიმიტრი ბაქრაძეს. უამრავია გადმოცემაა ჩაწერილი და გამოქვეყნებული თანამედროვე ეთნოგრაფების მიერ. ფოლკლორული მასალის ამ კუთხით შეფასება, როგორც აქვს მომჩივან მხარეს, არასწორი მგონია. რადგან მისი სრული იგნორირებაც პრობლემაა და დისკუსიის საგანია.

რას შეეხება *მეორე ბრალდებას* – იყო თუ არა *ჭვანის* მეჩეთის ადგილზე ჯვრიანი კარი. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ჩვენ ამას არ ვამტკიცებთ, რესპონდენტი ჰყვება თავის მხრივ, ისიც ხაზგასმით, როგორც წინაპრების მიერ შემორჩენილი ზეპირსიტყვიერება. როდესაც საჩივრის ავტორები, გვედავებიან ზეპირი გადმოცემების არასანდოობაში (ამას ჩვენს არ უარვყოფთ), რით ასაბუთებენ რომ – ,,*ჭვანაში* არასდროს ყოფილა ჯვრის გამოსახულებით კარები და მით უმეტეს არ მომხდარა მისი ჩამოხსნა". რა არგუმენტი ან წყაროები აქვთ?

შესაბამისად, არ ვფიქრობ, რომ ჩვენ დავარღვიეთ 1 პრინციპი და არაზუსტი ინფორმაცია მივაწოდეთ აუდიტორიას, რადგან თავისთავად გავმიჯნეთ, რომ ეს ისტორიები ერთგვარი ლეგენდაა, რომელიც შემორჩა წინაპრებისგან და გვიყვება სოფლის პედაგოგი. მე არ წარმომიჩენია ეს როგორც ფაქტი, ისტორიული მოვლენა ან რესპონდენტი ისტორიკოსად (რაც ისტორიული ფაქტების გადმოცემის წინაპირობა იქნებოდა).

რაც შეეხება თურქოფობიის ბრალდებას, ეს არასერიოზულად მიგვაჩნია. რადგან, ისტორიკოსებთანაც გავიარეთ კონსულტაციები (ზაზა შაშიკაძესთან (*ბსუ* ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ისტორიკოსი) ,ნუგზარ მგელაძე (ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ისტორიკოსი) ოთარ გოგოლიშვილი (ისტორიკოსი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი). ის, რომ აჭარის ტერიტორიის დიდი ნაწილი თურქების მიერ იყო დაპყრობილი, ეს ისტორიული ფაქტია და ამის ხელოვნურად (ოსმალეთის იმპერიის მოხსენიებით) იგნორირება არასწორია. ისტორია არის ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილი, ჩვენ საუკუნეებია ამ ისტორიით ვცხოვრობთ და თანავარსებობთ. ეს არასდროს ყოფილა დღევანდელი თურქეთის ან თურქეთის მოქალაქეების სიძულვილის მიზეზი. ამ მოტივით, კატეგორიულად არ ვეთანხმებით და ხელოვნურად გამუქებული გვეჩვენება ეს ბრალდება.

რაც შეეხება მაჰმადიანის სიტყვის გამოყენებას, მე ჩემს ტექსტში არ გამომიყენებია და არც ვიყენებ. გარკვევით ვამბობ, რომ ამ სოფელში ცხოვრობენ როგორც მუსლიმები, ასევე ქრისტიანები და ეს ჩვენი კულტურის შემადგენელი ნაწილია.

რაც შეეხება რესპონდენტის მიერ გამოყენებულ ამ ტერმინს, ის ისტორიულ კონტექსტში საუბრობს, იმ დროზე, როცა მუსლიმებს მაჰმადიანებად მოიხსენიებდნენ და ამაში არაკორექტული არაფერია. იმ დროს სწორედ ასე მოიხსენიებოდნენ ისინი.

რაც შეეხება დაბალანსებას და მეორე მხარეს, ვფიქრობთ, ლეგენდის მეორე მხარე უბრალოდ არ ჰყავს. არც ჩვენ და არც ჩვენს მუსლიმ რესპონდენტს, ერთი წამით არ დაგვიშვია ვინმეს დისკრედიტაცია ან შეურაცხყოფა, რადგან ფოლკლორული სახით შემონახული ისტორიები, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობაა და მისი ხელოვნურად დაბალანსება ცოტა გაუგებარი იქნებოდა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ამ მეჩეთის, მართლაც ძალიან ლამაზი შენობის ულამაზესი კადრები გადავიღეთ, სოციალურ ქსელშიც ისე დავდეთ, რომ აუცილებლად სანახავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და აუდიტორიას პოზიტიურ კონტექსტში მივაწოდეთ სიუჟეტი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მოტივაციას, რომ არავის დისკრედიტაციის მიზანი არ გვქონია. პირიქით...

რაც შეეხება კომენტარების გათიშვას, ის არ გაგვითიშავს იმიტომ, რომ მუსლიმი თემი გაღიზიანდა (ან შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი). პირიქით, აუდიტორიის ნაწილი (სავარაუდოდ ქრისტიანული აღმსარებლობის მქონე პირები) იმაზე გაღიზიანდა, რომ ჩვენ ისტორიულ ღირსშესანიშნაობად წამოვაჩინეთ მეჩეთი, რომლის ნახვა *ჭვანაში* ვიზიტის დროს აუცილებელია.

შევეცადეთ დისკუსიის საგანი არ გამხდარიყო ის ფაქტი, რომ მუსლიმი მრევლი და მუსლიმანური რელიგია ჩვენი კუთხის ისტორიის ნაწილია და ჩვენთვის ძალიან დასაფასებელია. ჩვენ არ გვაქვს წაშლილი და შეგვიძლია წარმოვადგინოთ *სქრინის* სახით (კომენტარები, რომელიც შემდეგ გავთიშეთ) , როგორ გვამუნათებდნენ იმის გამო, რომ მეჩეთებს ვიღებთ და პოზიტიურ კონტექსტში წარმოვაჩენთ. ასევე კულტურულ მემკვიდრეობად მოვიხსენიებთ და ჩვენი ისტორიის ნაწილად განვიხილავთ.

სწორედ ამ მიზეზით გავთიშეთ კომენტარები და არა იმ მოტივით, რაც მოსარჩელეს აქვს წარმოდგენილი – თითქოს დაპირისპირება იყო მუსლიმ და ქრისტიან თემს შორის.

სოციალურ ქსელებში აუდიტორია სიძულვილის ენას აქტიურად იყენებს, მათ შორის ნებისმიერ სტატიასა და რეპორტაჟზე, რომელიც მეჩეთის აშენების აუცილებლობაზე ან მუსლიმი თემის სხვა საჭიროებაზეა. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, რომ მაქსიმალურად თავიდან ავიცილოთ სოციალური ქსლებისთვის დამახასიათებელი აგრესიული ტონი და გავთიშოთ კომენტარები. თავად სოფლებში და ადგილობრივებში, მსგავსი განწყობები არსად დამხვედრია, მე ბევრი გადაცემა მაქვს მომზადებული, სადაც ვაჩვენებთ ჰარმონიულ თანაცხოვრებას სხვადასხვა რელიგიურ კონფესიებს შორის.

ჩემთვის ქარტიის საბჭოს მოსაზრებები საინტერესოა, საინტერესო იქნება გადაწყვეტილებაც და თქვენი არგუმენტების მოსმენა და გაზიარება.

პატივისცემით

ნათია თავდგირიძე

21.06.2022 წელი